

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო კ მ ი № 15

01 ოქტომბერი 2008 წელი

ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე თამაზ შარმანაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, გაა გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე, ირაკლი გვარამია და ანზორ ბალათურია.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება

ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ;

(მომხ. ა. ჩავლეიშვილი)

2. განკარგულება

საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

3. განკარგულება

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

(მომხ. ქ. ჯიქია)

1. განკარგულება

ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

მომხსენებელმა ასლან ჩავლეიშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა სავალდებულო ნარკოლოგიური შემოწმება ხორციელდება საქართველოს საარჩევნო კოდექსით და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, ასევე აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა ნარკოლოგიური შემოწმებისათვის დაწესებულება ერთობლივად უნდა შეარჩიოს უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, რის შემდეგაც კომისიას გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ლიცენზირებული ნარკოლოგიური დაწესებულებები, კერძოდ - შპს „მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი“ და შპს „ნარკოლოგიური ცენტრი“, რის შემდეგაც მომხსენებელმა კომისიას მიმართა ხსენებული დაწესებულებებიდან ერთერთის შერჩევის შესახებ, რომელიც განახორციელებს სავარაუდოდ არჩეულ უმაღლეს საბჭოს წევრობის კანდიდატთა ნარკოლოგიურ შემოწმებას.

მომხსენებელმა ასლან ჩავლეიშვილმა, სხდომის თავმჯდომარემ თამაზ შარმანაშვილმა და კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ კომისიას შესთავაზეს სავარაუდოდ არჩეულ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა

შემოწმების უფლებამოსილება მიენიჭებათ შპს „ნარკოლოგიური ცენტრი“-სათვის.

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ თამაზ შარმანაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ნარკოლოგიური შემოწმების უფლების შპს „ნარკოლოგიური ცენტრი“-სათვის მინიჭების შესახებ, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისა და წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადაღობის პარტიების/საარჩევნო ბლოკების პარტიულ სიაში შეყვანილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების მიერ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილ ვადაში ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის წარდგენის მიზნით, ნარკოლოგიური შემოწმების კომისიური წესით ჩატარების უფლება მიენიჭოს შპს „ნარკოლოგიურ ცენტრს“ (მის: ხელვაჩაური, ხახულის ქ. 2).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. განკარგულება

საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია განკარგულებით ადგენს საარჩევნო კამპანიისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის ფორმას, რის შემდეგ კომისიას წარუდგინა საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიის ფონდის ფინანსური ანგარიშის ფორმა. მან აღნიშნა, რომ მოცემულ ფორმაში ასახულია ყველა ის რეკვიზიტი რაც სავალდებულოა შესასრულებლად საარჩევნო სუბიექტის მიერ. მომხსენებელმა ასევე ისაუბრა აღნიშნული ფორმის შევსების წესებსა და პირობებზე და განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ თამაზ შარმანაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„საქართველოს ორგანული კანონის“ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-10 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 57-ე მუხლის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის ფორმა - თანდართული ნიმუშის მიხედვით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

მომხსენებელმა, ქეთევან ჯიქიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი, და კომისიას წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლისა და საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის მოწმობათა ფორმები. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად უსკო-ს და საარჩევნო ოლქებს უფლება აქვს ყავდეთ თავისი წარმომადგენელი - რომელიც საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად არჩევნებისას განახორციელებს უსკოს ან/და ოლქის მიერ მიცემულ დავალებებს. ისაუბრა წარმოგენილ ფორმაში ასახულ რეკვიზიტებზე და აღნიშნა, რომ უსკო-ს წარმომადგენლის მოწმობა იქნება სურათით, სადაც ასახული იქნება ასევე უსკო-ს ლოგო, ხოლო ოლქის წარმომადგენლის მოწმობა თეთრი ფერის სურათის გარეშე. მომხსენებელმა ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვას:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ თამაზ შარმანაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე	12;
წინააღმდეგი	0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი)	

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“

ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის მოწმობა (ფორმა №6-07.43.01);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის მოწმობა (ფორმა №6-07.44.01).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

თ. შარმანაშვილი

კომისიის მდივანი

ქ. ჯიქია